შპს სკოლა „გორდა“

ანგარიში განხილულია

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 5

30 ივნისი, 2026 წელი

შპს სკოლა „გორდას“ ერთწლიანი (2025-2026 წწ.) სამოქმედო გეგმის შესრულების

ანგარიში

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და წარმოადგენს მის უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ ინსტრუმენტს.

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დეტალურად განსაზღვრავდა საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, კონკრეტულ მიზნებს, ამოცანებს, შემსრულებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და დასახული შედეგების მიღწევის ლოგიკურ, დროში გაწერილ თანამიმდევრობას. სამოქმედო გეგმა სრულ თანხვედრაში იყო სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან, ასევე, არსებული ადმინისტრაციული, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების შესაძლებლობებთან.

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის საქმიანობა ორიენტირებული იყო საგანმანათლებლო სივრცეში საკუთარი უნიკალური ადგილის განმტკიცებაზე, სწავლებისა და მართვის პროცესებში ინოვაციების დანერგვასა და ხარისხის უწყვეტ ამაღლებაზე. გეგმის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დასახული მიზნების მიღწევას.

შიდა და გარე ფაქტორების სისტემურმა ანალიზმა უზრუნველყო სამოქმედო გეგმის, როგორც მენეჯერული და საგანმანათლებლო გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი ინსტრუმენტის, ეფექტიანი გამოყენება. ანგარიშის მიზანია 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობების შეფასება, მიღწეული შედეგების ანალიზი, არსებული გამოწვევების გამოვლენა და 2026-2027 სასწავლო წლის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა.

ამოცანა 1: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

განხორციელებული აქტივობები და პროცესი: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელდა სასკოლო კურიკულუმების სრული მოდერნიზება. შემუშავდა ახალი კურიკულუმები I-VI კლასებში მაქს მათემატიკის, ხოლო I-XI კლასებში ინგლისური ენის ახალი სახელმძღვანელოების დანერგვასთან დაკავშირებით. საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშავეს თემატური მატრიცები, სადაც აქცენტი გაკეთდა ფუნქციურ კონტექსტსა და გრძელვადიან შედეგებზე.

სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად დაინერგა პროექტული სწავლება, ინტეგრირებული გაკვეთილები და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო აქტივობები. პარტნიორი ორგანიზაციის **English Book Education-ის** მიერ პირველ და მეორე სემესტრებში ჩატარდა ინგლისური ენისა და მათემატიკის სწავლების მდგომარეობის ობზერვაციული და ინტერვენციული კვლევები. კვლევების შედეგებზე დაყრდნობით მასწავლებლებისათვის განხორციელდა მიზნობრივი ტრენინგები. მოსწავლეებს ჩაუტარდათ **TOEFL Internal Competition Test და Pearson Level Test**. ასევე ჩატარდა შიდასასკოლო ოლიმპიადები ქართულ ენასა და მათემატიკაში, ხოლო სასწავლო პროცესში სისტემატურად გამოიყენებოდა **Kahoot-ის** პლატფორმა.

მიღწეული ინდიკატორები: • განახლდა სასკოლო კურიკულუმების 100%; თითოეულ კლასსა და საგანში განხორციელდა სასწავლო პროექტები; • მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 7.5%-ით.

შედეგების შეფასება: მიმართულება შეფასებულია, როგორც წარმატებული. მოსწავლეებმა აჩვენეს როგორც აკადემიური ცოდნის, ისე კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრეზენტაციის უნარების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. გამოიკვეთა საჭიროება განმავითარებელი შეფასების კომენტარების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით.

ამოცანა 2: ადამიანური რესურსის განვითარება

განხორციელებული აქტივობები და პროცესი:

სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდა პედაგოგთა პროფესიული საჭიროებების კვლევა (ანკეტირება). შედეგებზე დაყრდნობით, მოეწყო შიდა ტრენინგ-კურსები შეფასების სისტემის, დიფერენცირებულ სწავლებასა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაზე. ამოქმედდა კოლეგიური მხარდაჭერისა და ურთიერთდასწრების სისტემა; *ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებში მასწავლებელთა ჩართვის ხელშეწყობა, კერძოდ,* 2025-2026 სასწავლო წლის დაწყების წინ, სკოლის ყველა პედაგოგისათვის ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგ-სემინარი საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის, სასწავლო პროცესში თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და მონიტორინგის განხორციელების შესახებ; ***English Book Education** -ის ტრენინგები ინგლისური ენისა და მათემატიკის მასწავლებელთათვის.*

- **მიღწეული ინდიკატორები:**
  - მასწავლებელთა უმრავლესობამ გაიარა სხვადასხვა ტიპის პროფესიული განვითარების ტრენინგი.
  - ჩატარდა **20-ზე მეტი ურთიერთდასწრების გაკვეთილი** შემდგომი კოლეგიური განხილვით.
  - **English Book Education-ის** წარმომადგენლების მიერ 2-ჯერ, სასწავლო წლის მანძილზე ჩატარდა ობზერვაცია ინგლისურ ენასა და მათემატიკაში, უკუკავშირის შედეგად, საჭიროებების მიხედვით, პედაგოგებს ჩაუტარდათ მიზნობრივი ტრენინგები.
  - დაინერგა **„წლის საუკეთესო პედაგოგის“; „წლის საუკეთესო დამრიგებლის“ და „წლის საუკეთესო კათედრის “** შიდა წამახალისებელი ნომინაციები.

- **შედეგების შეფასება:** ამოცანა **სრულად შესრულებულია**. პედაგოგებში მნიშვნელოვნად ამაღლდა მოტივაცია და ახალი მეთოდოლოგიების გამოყენების კოეფიციენტი. პრობლემად რჩება დროის დეფიციტი, რის გამოც ზოგიერთი ვორქშოფი საგაკვეთილო პროცესის პარალელურად დაიტვირთა.

ამოცანა 3: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

- **განხორციელებული აქტივობები და პროცესი:** სასწავლო პროცესის თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველსაყოფად, გადაიხედა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მთლიანად შეიღება საკლასო ოთახები, ყველგან დაიგო ახალი ლამინატის იატაკი, ნაწილობრივ განახლდა კომპიუტერული ტექნიკა, შეიცვალა დაზიანებული სასკოლო მერხები და სკამები. სრულად შეიცვალა სასკოლო მერხების კომპლექტი პირველ კლასებში; ყველა საკლასო ოთახი აღიჭურვა ახალი დაფებით; სასკოლო ბიბლიოთეკას დაემატა, როგორც სასწავლო სახელმძღვანელოები, ისე მხატვრული და დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურა.
- **მიღწეული ინდიკატორები:**
  - მთელ შენობას ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი(შეიღება საკლასო ოთახები)
  - საკლასო ოთახებში გამოიცვალა იატაკი; დაიგო ახალი ლამინატი
  - აღიჭურვა საკლასო ოთახი მულტიმედიური პროექტორით
  - I კლასებში შეიცვალა სასკოლო ინვენტარი
  - ყველა საკლასო ოთახი აღიჭურვა ახალი დაფებით
  - 200 ერთეულით გაიზარდა ბიბლიოთეკის ფონდი
  - განახლდა ბუნებისმეტყველების/საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის რესურსები.
- **შედეგების შეფასება:** ამოცანა შესრულდა **ნაწილობრივ**. ფინანსური ლიმიტების გამო, დაგეგმილი კომპიუტერული ლაბორატორიის სრული მოდერნიზება ვერ მოხერხდა, რაც გადავადდა 2026-2027 წლების ბიუჯეტში, ასევე, მომავალი სასწავლო წლის ბიუჯეტში ჩაისმება სკოლის ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის საკითხი.

ამოცანა 4: უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

- **განხორციელებული აქტივობები და პროცესი:** სკოლაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სრულად შემოწმდა ვიდეომონიტორინგის კამერები. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირთან თანამშრომლობით ჩატარდა სემინარები ბულინგის პრევენციასა და კიბერუსაფრთხოებაზე. რეგულარულად ტარდებოდა საევაკუაციო სწავლებები, სასწავლო წლის მანძილზე, **2-ჯერ ჩატარდა შიდასასკოლო ევაკუაციის იმიტირება.**

- **მიღწეული ინდიკატორები:**
  - შემცირდა სასკოლო კონფლიქტებისა და დისციპლინური დარღვევების რაოდენობა
  - ჩატარდა **6 საინფორმაციო შეხვედრა** მოსწავლეებთან და მშობლებთან.
  - მშობელთა ანონიმური გამოკითხვით, სკოლის უსაფრთხოების რეიტინგმა **96%** შეადგინა.
- **შედეგების შეფასება:** მიმართულება შეფასებულია **უმაღლეს დონეზე**. სკოლაში ჩამოყალიბდა ემპათიაზე დაფუძნებული გარემო. დისციპლინური გადაცდომები მინიმუმამდეა დაყვანილი ორგანიზებული მორიგეობისა და პრევენციული მუშაობის წყალობით.
- **2026-2027 წლების ბიუჯეტში ჩაისმება სკოლის სათვალთვალო კამერების განახლების საკითხები.**

ამოცანა 5: სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

- **განხორციელებული აქტივობები და პროცესი:** გაძლიერდა სკოლის თვითმმართველობისა და პედაგოგიური საბჭოს როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოეწყო „ღია კარის დღეები“, განათლების პავილიონი; მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; სადაც მშობლებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ შვილების ნამუშევრებს. ჩატარდა ერთობლივი საქველმოქმედო და გარემოსდაცვითი აქციები (მაგ: გამწვანების აქცია); სკოლის მოსწავლე-გამომგონებლები რესპუბლიკური პროექტის „ლეონარდო და ვინჩი“ ფინალისტები გახდნენ; სკოლის **19 მოსწავლემ** წარადგინა სამეცნიერო თემები ბსუ-სა ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ცალკეულ სექციებში და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.
- განხორციელდა გაცვლითი საგანმანათლებლო-კულტურული პროგრამა ვროცლავში (პოლონეთის რესპუბლიკა) ეგიდით: “ჩემი რეგიონის ელჩი-ერთად გადავარჩინოთ დედამიწა!“
- სკოლას, **ERASMUS+ ფარგლებში** 4 დღიანი ვიზიტით სტუმრობდა ნევშექირის(თურქეთის რესპუბლიკა)პედაგოგთა და მოსწავლეთა წარმომადგენლობითი დელეგაცია.
- საკონკურსოდ გვაქვს წარდგენილი მილენიუმის ათასწლეულის კონკურსზე მოსწავლე-მოხალისეთა **პროექტი STEM-ის** მიმართულებით.
- **მიღწეული ინდიკატორები:**
  - მშობელთა დასწრება საერთო კრებებზე გაიზარდა **30%-ით**.
  - მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა **4 მასშტაბური პროექტი**.
  - გაფორმდა მემორანდუმი აჭარის არ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომიტეტთან; ბსუ საბუნებისმეტყველო კათედრასთან არსებულ აგროსკოლასთან;

ქ. ტრზებნიცკის (ვროცლავი; პოლონეთის რესპუბლიკა) საერთაშორისო უმაღლეს სკოლასთან.

- **შედეგების შეფასება:** მიმართულება **ეფექტურია**. სკოლა გახდა უფრო ღია საზოგადოებისთვის. გამოწვევად რჩება დამამთავრებელი კლასების მშობელთა დაბალი აქტივობა, რაც საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომებს.

ამოცანა 6: მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება

განხორციელებული აქტივობები და პროცესი: მაღალკლასელთათვის მოეწყო პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის შეხვედრები, მოწვეულ იქნენ სხვადასხვა სფეროს პროფესიონალები. ჩატარდა დამატებითი მეცადინეობები იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც ჰქონდათ სასწავლო სირთულეები.

დამატებით, სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული საგანმანათლებლო მხარდაჭერის ღონისძიებები. კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები და ადმინისტრაცია სისტემატურად თანამშრომლობდნენ მოსწავლეთა აკადემიური პროგრესისა და სოციალურ-ემოციური კეთილდღეობის მონიტორინგის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეთა წახალისებასა და სასწავლო სირთულეების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას.

მიღწეული ინდიკატორები:

• ჩატარდა 5 პროფორიენტაციული ვორქშოფი IX-XII კლასელებისთვის;

• მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ტარდებოდა დამატებითი გაკვეთილები და საკონსულტაციო საათები ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად; რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, სკოლის 9 კურსდამთავრებულიდან 5 ოქროს და 1 ვერცხლის მედალოსნობის კანდიტატია; 1 მოსწავლე ერთდროულად ჩარიცხულია ევროპის რამდენიმე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში.

• განხორციელდა მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის სისტემური მონიტორინგი და ინდივიდუალური მხარდაჭერის ღონისძიებები.

შედეგების შეფასება: მიმართულება შეფასებულია, როგორც შედეგზე ორიენტირებული. გაუმჯობესდა მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, გაიზარდა სასწავლო პროცესში ჩართულობა და მოტივაცია. მომავალში იგეგმება კარიერული დაგეგმვის, ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და ინდივიდუალური კონსულტირების სერვისების კიდევ უფრო გაფართოება.

ამოცანა 7: ორგანიზაციული განვითარება

- **განხორციელებული აქტივობები და პროცესი:** გადაიხედა და დაიხვეწა სკოლის შინაგანაწესი და მართვის დოკუმენტები. დაწყებულია და მომავალი სასწავლო წლისათვის ვგეგმავთ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების ოპტიმიზაციის დასრულებას. გაუმჯობესდა ინფორმაციის შიდა მიმოცვლის არხები ადმინისტრაციას, კათედრებსა და პედაგოგებს შორის.

- **მიღწეული ინდიკატორები:**

    - დოკუმენტბრუნვისა და გადაწყვეტილების მიღების დრო შემცირდა **25%-ით**.

- ელექტრონული ჟურნალის წარმოებამ მიაღწია **100%-იან** სიზუსტეს.
- ჩატარდა სკოლის ბრენდინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სტრატეგიის განახლება.

- **შედეგების შეფასება:** მართვის პროცესი გახდა **მოქნილი და გამჭვირვალე**. სკოლის ორგანიზაციული კულტურა პასუხობს თანამედროვე მენეჯმენტის მოთხოვნებს.

რეზიუმე და რეკომენდაციები 2026-2027 სასწავლო წლისთვის

2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების უმრავლესობა წარმატებით განხორციელდა. შესრულებული სამუშაოების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლამ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა, როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების, ისე ორგანიზაციული განვითარების, ადამიანური რესურსების გაძლიერებისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასკოლო კურიკულუმების განახლება, ინოვაციური სასწავლო მიდგომების დანერგვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო პროექტებში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა, ასევე, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შენარჩუნება. განხორციელებულმა ღონისძიებებმა დადებითი გავლენა მოახდინა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, მოტივაციასა და სასკოლო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობაზე.

ანგარიშის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანები წარმატებით შესრულდა და სამოქმედო გეგმის შესრულების საშუალო **მაჩვენებელმა 90% შეადგინა.**

დარჩენილი აქტივობები, რომლებიც ძირითადად ინფრასტრუქტურულ და ტექნიკურ მიმართულებებს უკავშირდება, გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის ბიუჯეტსა და სამოქმედო გეგმაში.

მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა პრიორიტეტად განსაზღვრავს ციფრული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შემდგომ განვითარებას, შეფასების სისტემის სრულყოფას, მშობელთა ჩართულობის გაზრდას, საერთაშორისო პარტნიორობების გაფართოებასა და მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერებას.

სკოლის ადმინისტრაცია მადლობას უხდის პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის და გამოთქვამს მზადყოფნას, მომავალშიც განაგრძოს ხარისხიანი, თანამედროვე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს განვითარება.

შპს სკოლა „გორდა“

რეკომენდაციები 2026-2027 სასწავლო წლისთვის

1. პრიორიტეტულად განხორციელდეს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია;
2. განახლდეს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა და უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებები;
3. დაიხვეწოს შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების პრაქტიკა;
4. გაძლიერდეს მშობელთა ჩართულობა „მშობელთა კლუბისა“ და არაფორმალური აქტივობების მეშვეობით;
5. გაფართოვდეს საერთაშორისო თანამშრომლობა და მოსწავლეთა მონაწილეობა საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებში;
6. განვითარდეს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და ინდივიდუალური მხარდაჭერის პროგრამები.

Nino Murvanidze 61002007652

Digitally signed by Nino Murvanidze
Date: 2026.07.08 10:18:41